კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

გამოცემის 47-ე წელი № 63 (13745) | ხუთშაბათი, 16 მარტი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲥᲕᲘᲠᲐᲡ, 19 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ

მოეწყობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ 3 ᲓᲦᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ, ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲛᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲠᲝ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.

წინასაარჩევნო დღეები

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. ცხინვალის რაიკომის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ პირველადი პარტორგანიზაციათა მდივნები, ხალოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, ამომრჩეველთა კლუბების ხელმძღვანელები, კულტურის დაწესებულებათა მუშაკები. ისინი მოვიდნენ მეთოდურ სემინარზე, სადაც განიხილეს მოახლოებული არჩევნების ორგანიზებულად შეხვედრის საკითხები. (Ა. ᲮᲐᲑᲐᲚᲝᲕᲘ).

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. ამომრჩეველთა კლუბებში, სადაც განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყრის თავს, მოწყობილია ლამაზად გაფორმებული სტენდები: „ოქტომბრის გზით“, „საბჭოთა საქართველო“, „საჩხერის ახალშენებლობანი“... აქვე კედლებზე გაკრულია დიაგრამები საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებათა, ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (Ა. ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ).

ᲙᲝᲜᲘᲒᲐᲚᲘ. განსაკუთრებით დიდი საქმიანი ფუსფუსია ამომრჩეველთა კლუბში, რომელიც აბასთუმნის კულტურის სახლში არის მოთავსებული. აქ იმართება თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციები, საუბრები, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, დეპუტატებთან და დეპუტატობის კანდიდატებთან. (Ა. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ).

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ. პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების, საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეების, პოლიტორგანიზატორებისა და ამომრჩეველთა კლუბების ხელმძღვანელთა ზონალური თათბირ-სემინარები გამართა.

თათბირ-სემინარების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის საკუთარი გამოცდილება. (Ა. ᲮᲘᲯᲐᲙᲐᲫᲔ).

სოფელ—სანიმუშო

საყოფაცხოვრებო მომსახურება!

შარშან იანვარში შესანიშნავი თათბირი გამოიჩინეს გორის, თელავისა და ზუგდიდის რაიონების მშრომელებმა. თავიანთ პატრიოტულ ვალდებულებებში, რომელთა საერთო სათაური იყო „ავამაღლოთ ჩვენი სოფლების კულტურა, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მშრომელთა ყოფაცხოვრება“, ისინი წერდნენ: „წლითიწლობით უმჯობესდება სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, მაღლდება მათი კულტურა, უფრო მდიდარი ხდება სულიერი ცხოვრება. ეს ახალ, გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს, ყველა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებას, . რომლებიც მოწოდებულნი არიან დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს მშრომელთა კეთილდღეობის, მათი ცხოვრების დონის ამაღლებაში, ახალი ადამიანის აღზრდაში და მისი საზოგადოებრივი აქტივობის გადიდებაში“.

ამ პატრიოტულ თათბირებს ფართოდ ჯამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებიც. გაიმართა დიდი შემოქმედებითი მუშაობა. ამოცანად იქნა დასახული კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მახლობელი მშენებლობა, სოფლებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობა, მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოველმხრივ გაუმჯობესება, ზრუნვა იმისათვის, რომ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობის მუშებს, ახალგაზრდობას მინდვრებსა და ფერმებში მუშაობისგან თავისუფალი საათები გამოიყენებინათ სწავლისათვის, პროფესიული, კულტურული ცოდნის გაღრმავებისა და გონივრული დასვენებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი ვის მზადების შესახებ“ ხაზგასმით არის ნათქვამი: ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ... სოციალიზმმა საბჭოთა ადამიანს მოუტანა ბვალინდელი დღის რწმენა. სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე ზრუნვა პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესი მიზანია.

ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერების ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობაც. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მოვალეობა აკისრია საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მარტო სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება ხუთწლედის ბოლოსათვის 3,5-ჯერ უნდა გადიდდეს. ყოველივე ეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების დიდ ორგანიზატორულ და სამეურნეო მუშაობას მოითხოვს.

შარშან ბევრ ქალაქსა და სოფელში აშენდა და გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტები—კომბინატები, ატელიები, სახელოსნოები, ხაბარიკმახერობები. მომზადდა საყოფაცხოვრებო დარგის 1.700-ზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა დიდი ნაწილი სოფლად არის გამოყენებული. ყოველივე ამან მკვეთრად გააუმჯობესა მშრომელთა მომსახურება, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. მოსახლეობა უფრო მეტიდრო კავშირს ამყარებს საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებებთან, მეტი ნდობით ეკიდება მათს საქმიანობას. ეს ნდობა და ურთიერთ დამოკიდებულება ყალიბდება მუშაობის პროცესში ამ მრავალმხრივი, ადამიანისათვის, ოჯახისათვის, განსაკუთრებით ქალებისათვის შრომის შემამსუბუქებელი მომსახურების შედეგად, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო თვალსაჩინო ხდება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე საერთოდ და კერძოდ სოფლებში ჯერ კიდევ დაბალია.

მართალია, როგორც აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად საგრძნობლად იზრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა რიცხვი, მაგრამ ზოგჯერ სახელოსნოებსა თუ ატელიებში, პუნქტებსა თუ სხვა ობიექტებში ჯერ კიდევ ისე არ არის დაყენებული მშრომელთა მომსახურება, რომ მოსახლეობა კმაყოფილი იყოს. უფრო მეტიც, ზოგან შესამჩნევია ტენდენცია, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელს, სათანადო ორგანოების მიერ გაცემულ პატენტს ამოეფარის კერძო, კუსტარული მწარმოებელი და ეს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე—მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება — პირადი ინტერესებისათვის გამოიყენოს. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია შესამჩნევია არა მარტო რაიონში, არამედ თბილისშიც.

ასეთი შემთხვევები ძირშივე უნდა აღიკვეთოს. საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოველი ობიექტი დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივი დაწესებულებაა. იქ უნდა მუშაობდნენ მხოლოდ საქმით დაინტერესებული, მცოდნე, ავტორიტეტიანი მუშაკები, რომლებიც მზად არიან პატიოსნად, კეთილსინდისიერად მოემსახურონ მშრომელ ადამიანებს. მათ უნდა შევუქმნათ ყველა პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის. პირველ რიგში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი ყოველმხრივ კეთილმოწყობილი უნდა იყოს. იგი უნდა მოვამარაგოთ საჭირო ინვენტარით, ნედლეულითა და მასალებით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აწესებენ კონტროლს და ეხმარებიან ამ სახელმწიფოებრივ საქმეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და პირველ რიგში საბჭოთა ორგანოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების სახოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, აღნიშნულია რომ სახოფლო და სადაბო საბჭოები, ახორციელებენ რა კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, მოვალენი არიან ყოველთვის იზრუნონ იმისათვის, რომ უმჯობესდებოდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობა...“

ამ მხრივ უთუოდ მხარდაჭერის ღირსია თელავის რაიონის ნაფარეულის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს თათბირი. აქ სოფლის აქტივისტებმა გულდასმით შეისწავლეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოფლის კეთილმოწყობის მდგომარეობა და განიხილეს სოფლის ყრილობაზე. განსაკუთრებით აღინიშნა ის ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც ეწევიან ნაფარეულის სასოფლო საბჭოსთან არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის წევრები. ისინი მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე გულდასმით შეუდგნენ სოფლის მოსახლეობის საჭიროებათა შესწავლას. მათ რაიონულ კომბინატებს შესთავაზეს უფრო ფართოდ გააჩაღონ სოფლის მცხოვრებთა შორის ისეთი სახის მომსახურება, როგორიც არის სახლების მშენებლობა და რემონტი, წყალსადენისა და კანალიზაციის მილების გაყვანა. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე კომპლექსური საყოფაცხოვრებო კომბინატის ფილიალების, სტაციონალური და მისაღები პუნქტების ფართო ქსელი უეჭველად განამტკიცებს საყოფაცხოვრებო მომსახურებას სოფლად.

უდავოა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის ასეთი წევრები უფრო ახლოს მივლენ ადამიანებთან, უფრო კონკრეტულად უხელმძღვანელებენ საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაობას, მათს გაფართოებასა და ტექნიკურ აღჭურვას, კადრების შერჩევას. და, რაც მთავარია, სათანადო კონტროლს დაუწესებენ, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში გასაქანი არ მიეცეს არაკეთილსინდისიერ ადამიანებს.

როცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას ვეხებით, პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს ადამიანები, რომლებიც ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათ შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაზლას. ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში მომუშავე პატიოსანი, კეთილსინდისიერი ადამიანები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მშრომელ ხალხს ყველგან ყურადღებით ემსახურებოდნენ, ითვალისწინებდნენ მის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

საიუბილეო წელი, როგორც ყველა სხვა დარგში, ადამიანთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროშიც შემდგომი გამარჯვებების წელი უნდა გახდეს. დაე იუბილეს დღეებისათვის გაიხსნას საყოფაცხოვრებო მომსახურების მეტი და საუკეთესოდ მოწყობილი ობიექტები, დაე ყველა ისინი მშრომელთა მომსახურების, ადამიანთა კეთილდღეობის მძლავრი კერები გახდნენ.

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

300 კილოგრამით მეტი — ყოველი ჰექტარიდან!

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). შესანიშნავი თათსნობა გამოიჩინეს რაიონის ახალგაზრდა მეჩაიეებმა. ამ დღეებში გამართულ შეკრებაზე მათ შეაჯამეს გასულ წელს გაწეული მუშაობის შედეგები, იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად. მათ მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების ყველა კომკავშირელს, ყველა მეჩაიე ქალიშვილსა და ბებუას ფართოდ გააჩაღონ საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ახალგაზრდა მეჩაიეთა გადაწყვეტილებაა შარშანდელთან შედარებით ყოველ ჰექტარზე მიიღონ 300 კილოგრამით მეტი ნედლეული, თავიანთი ძალებით მოკრიფონ და მრეწველობას ჩაბარონ 1.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთლის მანქანებით კრეფისათვის მოამზადონ 50 ჰექტარი პლანტაცია, ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ მართვა შეასწავლონ 50 ახალგაზრდას, პლანტაციების ხიმერხრე აღმოფხვრან 100 ჰექტარზე, წინა წელთან შედარებით ხარწყავი პლანტაციების ფართობი გაადიდონ 30 ჰექტარით, ყველა კოლმეურნეობაში შექმნან მოწინავე გამოცდილების სკოლები, მეჩაიეთა ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები.

შეჯიბრების ინიციატორებმა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები — დროულად დამთავრეს პლანტაციების გადაბარგა მინერალური სასუქების შეტანით, ფართოდ გააჩაღეს ჩაის ბუჩქების გასხვლა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოები.

Ш. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

15 მარტს ხამშობლოში გაემგზავრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოდორ ჟივკოვი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც მოსკოვში იყვნენ მეგობრულ ვიზიტად.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბულგარელი სტუმრები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა და სხვებმა. (საკადესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი იოზეფ კლაუსი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში, 15 მარტს კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

შემდეგ დაიწყო საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება. (საკადესი).

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲣᲐ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲐᲜᲓᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ტრიკოტაჟის ფაბრიკა, რომელიც თვრამეტ მილიონ ცალ ნაწარმს გამოუშვებს წელიწადში, საექსპლოატაციოდ მიიღო სახელმწიფო კომისიამ, — იუწყება საკადესის კორესპონდენტი. საწარმო აღჭურვილია უახლესი საბჭოური მოწყობილობით, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიღებული მანქანებით. სამკერვალო საამქროში, რომლის ფართობი დაახლოებით ხუთი ათასი კვადრატული მეტრია, მთელი სიმძლავრით ამუშავდა ექვსი კონვეიერი.

ᲛᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲑᲐᲗᲔᲑᲘ

△ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კპ სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩიქოვანმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მანჯგალაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ქართველიშვილმა „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ სამტრედელმა მშრომელებმა საიუბილეო წელს პირველი წარმატება მოიპოვეს. ვალდებულებით სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა უნდა შეესრულებინათ 15 მარტისათვის, ფაქტიურად 10 მარტისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 370 ტონა ხორცი ნაცვლად 270 ტონისა, 290 ტონა რძე ნაცვლად 279 ტონისა.

△ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კპ თეორი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ᲔᲚᲔᲛᲨᲘᲚᲛᲐ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ Ი. ᲔᲚᲒᲐᲯᲘᲫᲔ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა Თ. ᲗᲝᲤᲝᲠᲗᲨᲘᲚᲛᲐ ჩვენს რედაქციას აცნობეს, რომ ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის მიზნით რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შეესრულებინათ 20 მარტისათვის. ბევრით მუშაობით პირობა უკვე გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 292 ტონა ხორცი ნაცვლად 270 ტონისა, 255 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 235 ათასი ცალისა.

△ **ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡᲚᲘᲡ** მშრომელებმა ვალდებულება შეასრულეს, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ᲙᲣᲠᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ Ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲔ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დ. ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ, — 10 მარტისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.442 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1.350 ცენტნერისა, 3.058 ცენტნერი რძე, ნაცვლად 2.900 ცენტნერისა.

△ **ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ** რაიონის ფერმების მშრომელებმა 10 მარტს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის კვარტალური გეგმა შეასრულეს 151 პროცენტით, რძისა — 153 პროცენტით, კვერცხისა — 118 პროცენტით.

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

Გ. Დ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲫᲚᲐᲫ თბილისის 25 თებერვლის № 20 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები 15 მარტს შეიკრიბნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რათა შესვედროდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ᲒᲘᲖᲘ ᲓᲘᲓᲘᲢᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ.

კრების პრეზიდიუმში ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილთან ერთად არიან ამხანაგები Ბ. Ი. ᲙᲝᲒᲝᲜᲐᲫᲔ, Შ. Დ. ᲙᲘᲫᲔᲚᲐᲫᲔ, Ო. Ი. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, საარჩევნო ოლქის საწარმოთა და დაწესებულებათა მოწვეული ადამიანები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ᲧᲘᲨᲘᲜᲘᲫᲛ.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — კინორეჟისორმა რ. ᲩᲮᲘᲜᲫᲛ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა უახლოესდება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი მზიური რესპუბლიკის გრანდიოზული წარმატებანი.

ნდობით აღჭურვილმა პირმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზა, დაახასიათა ამხანაგი გ. დ. ჯავახიშვილი როგორც პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი. ჩვენ კარგად ვიცით, განაცხადა ორატორმა, რომ იგი მთელ თავის ძალღონეს, დიდ გამოცდილებასა და ცოდნას ახმარს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს.

რ. ᲩᲮᲘᲫᲔ მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა **გადაეცა** ამ დიდი პატივისცემისთვის, რომელიც მას დასდეს მუშებმა, მეცნიერმა თანამშრომლებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, შემოქმედებითმა კოლექტივებმა, მოსამსახურეებმა და დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატად. მან მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის 25 თებერვლის საარჩევნო ოლქის ყველა კოლექტივსა და ამომრჩეველს, რომელმაც მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილი დამსწრეთ ესაუბრა იმ წარმატებებზე, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მიაღწიეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში. ეს ოთხი წელი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ამ ხანის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაში, საბჭოთა სამშობლოს საგარეოპოლიტიკური პოზიციებისა და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. ამ წლების შესანიშნავი მოვლენაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წლის) პლენუმი, რომელმაც დაგმო სუბიექტივიზი და ვოლუნტარიზმი. პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პარტიის XXIII ყრილობას, რომელმაც შეაჯამა ჩვენი ქვეყნის მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში, დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის შემდგომი პროგრამა.

შემდეგ ამხ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებსაც საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში. უკანასკნელ ოთხ წელიწადში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 34 პროცენტით, 65 პროცენტით გაიზარდა ელექტროენერგიის საერთო გამომუშავება, საერთასლოტაციოდ გადაცემულია რამდენიმე მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

ძირეული ცვლილებები მოხდა ჩვენს სოფლის მეურნეობაში. შეიცვალა მისი სტრუქტურა, შეიქმნა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რამაც განაპირობა სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომი ძლიერი განვითარება. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მოცულობა 20 პროცენტით გადიდდა.

კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია ეროვნულმა კულტურამ, რომელსაც მდიდარი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები აქვს.

სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შედეგად სახე იცვლის რესპუბლიკის ქალაქებმა და სოფლებმა, აშენდა ახალი სოციალისტური ქალაქები — მრეწველობის სხვადასხვა დარგის ნამდვილი ცენტრები. თუ 1921 წლამდე საქართველოში იყო სულ 20-მდე ქალაქი, რომლებშიც 475 ათასი კაცი ცხოვრობდა, ახლა რესპუბლიკაში 45 ქალაქია, რომლებშიც ორ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს. ჩვენს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მუშათა დასახლებებსა და სოფლებში გაჩაღდა ახალი მაგისტრალები, წყალსადენები, გაზსადენები, აშენებენ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, საავადმყოფოების, სკოლების, სბაბაშვო ბაღების და ბაგების, კლუბების შენობებს, მწყობრში დგება საცხოვრებელი სახლების ახალი მასივები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ხაბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისშიც. გაფართოვდა და გაუმჯობესდა კოლმეურნეობა. ქალაქი დაამშვენეს რადიოსა და ტელევიზიის სახლის ახალმა შენობამ, საპოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტების შენობათა კომპლექსმა. მაგრამ ქალაქის ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი მოვლენა იყო თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის ამუშავება. შესანიშნავი პერსპექტივებია დასახული ხუთწლეულში საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ახლა მუშაობენ ქალაქის რეკონსტრუქციის 1970-1980 წლების გენერალური გეგმა. ამ გეგმის შესაბამისად გაფართოვდება თბილისის ტერიტორია, გაიზრდება მისი მოსახლეობა. უახლოეს თხუთმეტ წელიწადში ქალაქში აშენდება ცხრა მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. დიდი სამუშაოებია დასახული საქალაქო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. ქალაქს დაამშვენებს სამეცნიერო დაწესებულებებს, სანახაობითი და სავაჭრო ობიექტებს, საპრეზიდიუმო ინსტიტუტებისა და სხვა ორგანიზაციების ფუნდამენტალურ შენობათა ახალი კომპლექსები. დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსის, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მშენებლობა დიღომში და სხვ.

ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი, რომლებიც არის მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოუგვარებელი ქალაქის ტრანსპორტის, წყალსადენის ქსელის, სატელეფონო სადგურების, საავაჭრო და საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის დაცვის და სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის მუშაობაში. საჭიროა, რომ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა უფრო მეტად იზრუნონ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს საავაჭრო ობიექტების, საკოლმეურნეო ბაზრების სანიტარული მდგომარეობისა და მუშაობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაუმჯობესებისათვის.

წლევანდელი წელი საიუბილეოა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ნახევარი საუკუნე გაკიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა ხელისუფლების იუბილესათვის ემზადებიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები. ამხ. ჯავახიშვილი გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და სახელოვანი ინტელიგენცია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ოქტომბრის ნახევარსუკუნოვან იუბილეს შეხვდებიან ახალი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

დასასრულ ამხ. ჯავახიშვილმა კიდევ ერთხელ გადაუსადა მადლობა თავის ამომრჩეველებს დიდი პატივისათვის და აღუთქვა, რომ მთელ ძალღონესა და ენერგიას არ დაზოგავს მათი დიდი

ხალხის ნდობა

შეხვედრები ამომრჩevლებთან

ბურჯაანი. სოფელ ბაკურციხეში გაიმართა ვეჯინის № 168 საარჩევნო ოლქის ამომრჩevლთა შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის თავმჯdომარის მოადგილesთან **მიხეილ მიხეილიანთ-ძე ელელაშვილთან.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ჭანდრის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ვ. ბერიკაშვილმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, მოუწოდა ამომრჩevლებს **ხმა** მისცენ თავიანთ კანდიდატს.

შემდეგ გამოვიდა მ. მ. ელელაშვილი, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩevლებს და აღუთქვა, რომ არ დაიშურებს ძალონესა და ენერგიას მათი მაღალი ნდობის გასამართლებლად.

ძუთაისი. ქუთაისის პიონერთა სასახლეში გაიმართა რუსთაველის № 230 საარჩევნო ოლქის ამომრჩevლთა შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კალატოზ **გურამ შალვასძე მჭედლიშვილთან.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — უმაღესენაძემ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, მოუწოდა ამომრჩevლებს ხმა მისცენ მას.

გ. შ. მჭედლიშვილმა აღუთქვა ამომრჩevლებს, რომ ეცდება გაამართლოს მათი დიდი ნდობა.

ზესტაფონი. ქვედა საქარის № 213 საარჩევნო ოლქის ამომრჩevლები შეხვდნენ თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯdომარეს **ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — აკაკი გეფის საბჭოთა მეურნეობის პირველი უნბის უფროსმა თ. ქავთარაძემ შეკრებილთ გააცნო ი. მ. ხოხლოვის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, მოუწოდა ამომრჩevლებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ თავიანთ კანდიდატს.

დეპუტატობის კანდიდატი დაჰპირდა ამომრჩevლებს, რომ გააამართლებს მათს მაღალ ნდობას.

ცხინვალი. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ნაციონალურ № 297 საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **მიხეილ ბაგრატის-ძე ღვინჭილია** სოფელ უმაფათის ორკლასიანის საბჭოლობის კოლეეურნეობის კლუბში შეხვდა თავის ამომრჩevლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — უმაფათის საშუალო სკოლის დირექტორმა ი. გოგინავამ დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათა როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგenელი, მოუწოდა ამომრჩevლებს ხმა მისცენ მას.

მ. ბ. ღვინჭილიამ მადლობა გადაუხადა ამომრჩevლებს მაღალი ნდობისათვის.

ახალციხე. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი **ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ბაატაშვილი** — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ლენინის № 110 საარჩევნო ოლქში შეხვდა თავის ამომრჩevლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ნ. ბოჯომარეს **ივანე მიხეილის-ძე ხოხლოვს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — აკაკეთის საბჭოთა მეურნეობის პირველი უნბის უფროსმა თ. ქავთარაძემ შეკრებილთ გააცნო ი. მ. ხოხლოვის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, მოუწოდა ამომრჩevლებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ თავიანთ კანდიდატს.

დეპუტატობის კანდიდატი დაჰპირდა ამომრჩevლებს, რომ გააამართლებს მათს მაღალ ნდობას.

მარნეული. ბაუმიანის № 148 საარჩევნო ოლქის ამომრჩevლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველ მდივანს **შოთა ბათლომეს-ძე ნემსაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა შუმიანის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. მიქაელიანმა ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და შრომით მოღვაწეობაზე, მოუწოდა ამომრჩevლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა შ. ბ. ნემსაძეს.

დეპუტატობის კანდიდატმა აღუთქვა ამომრჩevლებს, რომ გააამართლებს მათ მაღალ ნდობას.

ბორჯომი. ბორჯომპარკის № 107 საარჩევნო ოლქის ამომრჩevლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, **საქართველოს** კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივანს **ბახვა ერმილეს-ძე კუხიანიძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ბორჯომის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგმა მ. კიკნაძემ დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათა როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგenელი, ამომრჩevლებს მოუწოდა არჩევნებს **ღირს** ერთსულოვნად მისცენ ხმა ბ. ე. კუხიანიძეს.

ბ. ე. კუხიანიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა თავის ამომრჩevლებს გაწეული მაღალი ნდობისათვის.

ორჯონიკიძე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, სოფელ საქასრიის კოლმეურნეობის **მწყemარი მარიამ რაჟდენის ასული წიკარიშვილი** შეხვდა ბორითის № 205 საარჩევნო ოლქის ამომრჩevლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ზ. ჯუდაძემ, ალეთეთ ამომრჩevლებმა ლ. ებანოიძემ, ბ. დამბაშიძემ, ა. ლომსაძემ დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათეს როგორც შესანიშნავი მშრომელი, ძლიერი საზოგადოებრივი მუშაკი, ხალხის ღირსეული რჩეული.

დეპუტატობის კანდიდატმა მადლობა გადაუხადა ამომრჩevლებს და აღუთქვა, რომ ძალონესა და ენერგიას არ დაიშურებს **მაღალი** ნდობის გასამართლებლად.

თეთრი წყაროს. თეთრი წყაროს № 135 საარჩევნო ოლქის ამომრჩevლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივანს **ილია ნიკოლოზის-ძე ელოშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირებმა ა. დოლაქიშვილმა და ნ. ვასილიადომ შეკრებილთ გააცნეს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, მოუწოდეს ამომრჩevლებს 19 მარტს ხმა მისცენ ი. ნ. ელოშვილს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ი. ნ. ელოშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩevლებს და აღუთქვა, რომ გააამართლებს მათ მაღალ ნდობას. (საქდესი).

ხმა კასპისპირეთიდან

მზადება არჩევნებისათვის

ერმა თოვლით დაფარა კასპისპირეთის ვრცელი ტრამალები. თვალუწვდენ ველებზე ხშირად სისინებს ცივი ქარი. ამ დღეებში ქართველ მეცხვარეებს მინდვრად იშვიათად შეხვდები. პირუტყვი უფრო მეტად ბაგურ კვებაზეა გადაყვანილი. მაგრამ ზოგჯერ მეცხვარეთა სასურველი მზეც გამოანათებს ხოლმე, — დაუბერავს ზღვის თბილი ქარი, თოვლს გააღნობს, და თეთრი ქარავნები მინდვრად გამოიშლებიან. ასეთი დღეები წელს იანვარსა და თებერვალშიც ყოფილა. მაშინ სიხარულის დღეებია ფერმებში. საერთოდ კი ცუდი ამინდია კასპისპირეთში.

მიუხედავად ამისა, ქართველი მეცხვარეები შეუპოვრად იბრძვიან ცხვრის მოშრავლებისათვის. დღით გაჩაღებულია, ბატკანი მატულობს, ფარები იზრდება.

ასეთ შრომაოს ვითარებაში არიან ყიზლარში მყოფი მწყemსები. ასეთ ვითარებაში უმზადებიან ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის.

...მანქანა ერთი ბინიდან მეორისაკენ მიიკვლევს თოვლიან გზას. ათობით კილომეტრით დაშორებულ მეცხვარეთა ბინებში იგრძნობა დიდი სახალხო ზეიმის მოახლოება.

ყველგან შეხვდებით წითელ მატერიაზე დაწერილ ლოზუნგებს, საარჩევნო პლაკატებს, ამომრჩevველთა სიებს...

საქართველოს მეცხვარეობის რაიონებს დუშეთს, ყაზბეგს, ლენინგორსა და თიანეთს საზამთრო ხეობებზე თავიანთი საარჩevნო უბნები აქვთ, სადაც ხმა უნდა მისცენ ჩვენი რესპუბლიკის მეცხვარეებმა.

დუშეთის რაიონის მომთაბარე ვეტპუნქტი, რომელიც ბაჟიანზე მდებარეობს, კოჩუბეის თითქმის 100 კილომეტრით არის დაშორებული. მას და საავადმყოფოს შენობას შორიდანვე ეტყობათ, რომ არჩევნებისათვის ემზადებიან.



ზესასვლელთან ჯეთხეულობთ: „საარჩevნო უბანი № 52“, საუბნო საარჩevნო კომისიის თავმჯdომარემ, დუშეთის რაიონის მაქართის კოლმეურნეობის თავმჯdომარემ ა. ქავთარაძემ დაწერილებით გაგვაცნო არჩევნებისათვის მზადების მდგომარეობა. სამაესზე მეტი ამომრჩevველი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, — უმთავრესად მწყemსები. ამომრჩevველთა სიები გამოკრულია. არის საარჩevნო ლიტერატურა. უბანში მიმდინარეობს ზოგიერთი ტექნიკური საკითხის მოგვარება.

გავიცანით პოლიტორგანიზატორები ვანო ზაქაიძე, გიგო მათიაშვილი, რომლებიც ეს-ეს იყო მეცხვარეთა ბინებიდან დაბრუნებულიყვნენ. მათ გვითხრეს, ამჟამად პოლიტიკური მუშაობის ძირითადი ამოცანა ამომრჩevველებისათვის დეპუტატობის კანდიდატების მიგაყვიან შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, მოუწოდა ამომრჩevველებს ხმა მისცენ მას.

ვ. ა. პაატაშვილმა აღუთქვა ამომრჩevველებს, რომ გააამართლებს მათს მაღალ ნდობას.

მარნეული. ბაუმიანის № 148 საარჩevნო ოლქის ამომრჩevველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველ მდივანს **შოთა ბათლომეს-ძე ნემსაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა შუმიანის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. მიქაელიანმა ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებასა და შრომით მოღვაწეობაზე, მოუწოდა ამომრჩevველებს ერთსულოვნად მისცენ ხმა შ. ბ. ნემსაძეს.

დეპუტატობის კანდიდატმა აღუთქვა ამომრჩevველებს, რომ გააამართლებს მათ მაღალ ნდობას.

ბორჯომი. ბორჯომპარკის № 107 საარჩevნო ოლქის ამომრჩevველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, **საქართველოს** კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივანს **ბახვა ერმილეს-ძე კუხიანიძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ბორჯომის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგმა მ. კიკნაძემ დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათა როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგenელი, ამომრჩevველებს

ეს მათ იმითაც იგრძნეს, რომ მრავალი მეცხვარე დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია როგორც რაიონულ საბჭოში, ისე სასოფლო საბჭოებში. ნაწილი მათგანი, აქ, ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე შრომობს, ამრავლებს საკოლმეურნეო დოვლათსა და ბარაქას.

არჩევნებისათვის მზადება დღითიდღე ძლიერდება სხვა რაიონების მეცხვარეთა საარჩevნო უბნებიც.

„მწვანე არტეზიანის საარჩevნო უბანი“ — ასე უწოდებენ ლენინგორელი მეცხვარეები თავიანთ საარჩevნო უბანს, რომელიც მომთაბარე ვეტპუნქტის შენობაშია მოთავსებული. მრავალ მომსვლელს ხასავთ აქ. ამორეცა საუბრები, საარჩevნო უბანში მეცხვარეები იღებენ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს. შეეგესწარით პოლიტორგანიზატორ ი. ჩარკაშვილს საუბარს. აქ კენჭს იყრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეობის მოწიფავე მწყemსი ლალაი სირანა დრიაშვა. მწყemსები რჩეულ კანდიდატს კარგად იცნობენ და პატივსაც სცემენ. ამიტომ კმაყოფილებით შუბჭდნენ მისი კანდიდატურის დასახელებას.

ახლოვდება არჩevნების დღე — 19 მარტი. ეს დღე საზეიმოდ აღინიშნება ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, სადაც ათასობით კაცი დაუღალავ შრომას ეწევა ჩვენი რესპუბლიკის ცხვრის მოშრავლებისა და გაზრდისათვის.

19 მარტს ქართველი მწყemსები, რომლებიც კასპისპირეთის საზამთრო საძოვრებზე იმყოფებიან, ერთსულოვნად მიეცემენ საარჩevნო ყუთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

ნ. ჯანჯღავა,
ი. თედიაშვილი.

კოჩუბეი. ყიზლარის საზამთრო საძოვრები.

სურათებზე: ზემოთ — ს. დრიაევა; ქვემოთ — ს. ნარიმანაშვილი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმისა

ამხ. ი. პ. გალდავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ილია პავლეს-ძე **გალდავა** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის თავმჯdომარე

გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის მდივანი

ზ. კვაჰაძე

თბილისი, 1967 წლის 14 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმისა

ამხ. ა. ი. შადურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **არჩილ ივანეს-ძე შადური დაჯილდოდეს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრezიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის თავმჯdომარე

გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის მდივანი

ზ. კვაჰაძე

თბილისი, 1967 წლის 15 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმისა

ამხ. კ. ვ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **შოთა სიმონის-ძე კობახიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს პრezიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის თავმჯdომარე

გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის მდივანი

ზ. კვაჰაძე

თბილისი, 1967 წლის 15 მარტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმისა

ამხ. შ. ს. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **შოთა სიმონის-ძე კობახიძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის** საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის თავმჯdომარე

გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრezიდიუმის მდივანი

ზ. კვაჰაძე

თბილისი, 1967 წლის 15 მარტი.

დეპუტატობის კანდიდატი

ღვაწლმოსილი პედაგოგი

ქეთილსამეზობლონი არიანო, ასე ამბობდნენ პატიოსანი და შრომისმოყვარე გლეხის ივანე მახარაძის ოჯახზე. მართალიც იყო, მარჯვენადაღლელესა და მუხლჩაუდრეკელ გლეხკაცს, დაბადებიდან მიწის სიყვარული რომ დაჰყოლოდა, ბოროტებისათვის ამა სად ეცალა. მიწის სიახლოვე და სიყვარული კაცს აკეთილშობილებსო, ხშირად იტყოდა ივანე, მიწა გაეხადა მეგობრად, ის იყო მისი ნუგეშისმცემელი და მისი დიდი ოჯახის დამპურებელი.

ოთხი შვილი გამოზარდეს ქრისტინემ და ივანემ, ოთხივეს თავიანთი კეთილი გულის თითო ნაწილი უანდერძეს. ეს ის სიმდიდრეა, ცხოვრების ბოლომდე რომ გაჰყვება კაცს.

კარგ დროს მოუსწრო ახალმა ცხოვრებამ მრავალშვილიან ოჯახს, მშობლების ერთადერთი სიხარული ხომ შვილების ბედნიერებაა.

— თქვენ მაინც გამახარეთ, შვილებო, სანამდე შემიძლიან მომსახურეთ და თქვენს დავეკაცებას და გზაზე დადგომას მომასწრით, — თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე ივანე. არ დასცალდა ივანეს შვილების ბედნიერებით დატკბობა, ნაჯაფი და ჭირვარამგამოვლილი კაცი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან და ამოდენა ოჯახი მარტოხელა ქრისტინეს დაუწვა მხრებზე.

გამრჯე და ოჯახისმოყვარე დედას შვილების ბედი სამარეში დარდად არ ჩაჰყოლია. ისინი გზაზე დამდგარი დატოვა.

მას შემდეგ ბევრმა წელმა განვლო, და ახლა, როცა მარიამ მახარაძეს დაბადებიდან სამოცი და პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა, მან ერთხელ კიდევ, თითქოს აჯამებსო, გონების თვალი გადააცალა განვლილ გზას, და მეხსიერებაში ერთიმეორეს მიყოლებით გაცოცხლდნენ მისი ცხოვრების საინტერესო თარიღები...

სწავლამოწყურებული გოგონა ვანიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს და გიმნაზიაში მიაბარეს. იგი მონდომებით დაეწაფა ცოდნის წყაროს.

დამთავრდა გიმნაზიაში სწავლის წლები. და აი თვრამეტი წლის მარიამ მახარაძე ბათუმის მე-15 სკოლის დირექტორად დანიშნეს. ახალგაზრდა ქალის ცხოვრებაში ეს ფრიად სერიოზული და პასუხსაგები ნაბიჯი იყო. აქედან იწყება მისი დამოუკიდებელი შრომისა და არსებობის წლები, მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც დღემდე პირნათლად ემსახურება. აქ შეიყვარა მარიამმა პედაგოგის სპეციალობა, შეიყვარა ერთხელ და სამუდამოდ. ორი წმიდათა-წმიდა სიყვარული — **ალსაზრდელისა და საქმისადმი** ერთმანეთს შეახმატკბილა და ეს უნათებდა ოთხი ათეული წლის მოღვაწეობის რთულ და საინტერესო გზას.

მარიამი დიდი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული მტკიცედ მიაბიჯებდა ნათელი მომავლის გზაზე. ბათუმის განათლების განყოფილების გამგე, განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯdომარის მოადგილე. ეს უბრალო ჩამოთვლაც კი მარიამ მახარაძის **მოღვაწეობის** ნათელ სურათს გვაძლევს..

მარიამი ისევ თავის, ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ პროფესიას დაუბრუნდა, მას სწამდა — არა არის რა იმაზე უფრო საამაყო და პასუხსაგები, ვიდრე შენს ცხოვრებას მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ახმარდე, გადასცემდე მათ შენს ცოდნასა და გამოცდილებას, ასწავლიდე მეცნიერების საფუძვლებს, უნერგავდე ცოდნისადმი სიყვარულს, ადამიანისა და სიცოცხლის, ერისა და ქვეყნის სიყვარულს... შთააგონებდე კეთილშობილებასა და პატიოსნებას...

„თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ, ჩემის ფიქრით, შეუძლებელია. უმაგისოდ კი შესაძლოა — სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არასოდის. მე კი ასე მგონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთნა-სწავლებაზი“.

დიდი ილიას ეს სიტყვები მუდამ გონებაში ჰქონდა გამჯდარი ღვაწლმოსილ აღმზრდელს, მას სწამდა, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს ერთადერთი საეცალობა — ის უნდა იყოს ადამიანი, ნამდვილი ადამიანი და ამ რწმენით, მოწაფეებთან ურთიერთ სიყვარულში კეთდებოდა საქვეყნო საქმე — იზრდებოდა ერის მომავალი.

ოცდაორი წელია მარიამ მახარაძე თბილისის 66-ე სკოლას ხელმძღვანელობს და ამ არცთუ ცოტა ხნის მანძილზე თავისი ცხოვრების თითქმის ორი მესამედი ამ კედლებს შორის აქვს გატარებული. ეს ჰერი და მისი „მცხოვრებნი“ მარიამისათვის მეორე ოჯახად იქცნენ და ამ ოჯახის ყოველი წევრილმანი, ჭირი თუ ლხინი სიახლოვრცელულად არის დაკავშირებული მასთან, როგორც დირექტორთან და აღმზრდელთან.

ამ ხნის მანძილზე ეს სკოლა ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო ჩვენს ქალაქში, არამედ რესპუბლიკაში. და ეს, უთუოდ, კარგი ხელმძღვანელისა და ერთსულოვანი, შეკრული პედაგოგიური კოლექტივის უნარიანი, ბეჯითი შრომის შედეგია.

სკოლაში 1.400 მოსწავლეა — ეს 1.400 განსხვავებულ ხასიათს ნიშნავს. დირექტორი კი ერთია. მიუხედავად ამისა, მარიამ მახარაძე ახერხებს ოვითეულ მათგანს შესაფერისი „გასაღები“ მოუძებნოს, ზოგს დაუყვავოს და მოეფეროს, ზოგს გაუჯავრდეს, ზოგიც შეაქოს. და იგი ამას აკეთებს დიდი ზომიერებით, განსაკუთრებული რუდუნებითა და გონიერებით. ამასვე ასწავლის და ავალებს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, რომლის ძირითადი ბირთვი. ახალგაზრდობაა. ღვაწლმოსილი პედაგოგი შთაგონებს ახალგაზრდა აღმზრდელებს, რომ მხოლოდ ბავშვების სიყვარული გარდაქმნის მასწავლებლის შრომას შემოქმედებად.

ხაინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობს 66-ე სკოლის დიდი კოლექტივი. ოცდაორი წლის მანძილზე არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მოსწავლე სკოლიდან წასულიყო.

— გარიცხვა ადვილი საქმეა, — გვეუბნება დირექტორი, — აღზრდა კი ძნელია. სწორედ ეს სიძნელე უნდა დაძლიოთ.

მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და გაუჯობესება სკოლის სამუშაო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი ნაწილია. მიმდინარე სასწავლო წელს ასსრ მოწაფეს უფასო კვება დაენიშნა, სამოცდაცხრამეტს კი უსასყიდლოდ გადაეცა მოსწავლის ფორმები.

ძირითად სასკოლო-სასწავლო პროგრამასთან ერთად არა ნაკლები ყურადღება ექცევა შრომის ჩვევების შესწავლას. ამის შესახებ ნავი დადასტურებაა ის თბილი სტრიქონები, რომელსაც დირექტორის მრავალრიცხოვან ფოსტაში ვკითხულობთ:

ეი ერთი მათგანი.

„...არასდროს დამავიწყდება ერთი შემთხვევა, რომელიც სამუდამოდ კეთილმოსაგონრად დამრჩა. მაშინ მე-9 კლასში ვიყავი. გავაცდინე ჭრა-კერვის მეცადინეობა. თურმე შემთხვევით გაკვეთილზე შემოსულხართ და ჩემი არ ყოფნა შეგიმჩნევიათ. მეორე დღეს რომ გამომძახეთ შეშინებული შემოველ კაბინეტში, ძალიან, ზოგს დაუყვავოს და მოეფეროს, ზოგს გაუჯავრდეს, ზოგიც შეაქოს. და იგი ამას აკეთებს დიდი ზომიერებით, განსაკუთრებული რუდუნებითა და გონიერებით. ამასვე ასწავლის და ავალებს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს, რომლის ძირითადი ბირთვი. ახალგაზრდობაა. ღვაწლმოსილი პედაგოგი შთაგონებს ახალგაზრდა აღმზრდელებს, რომ მხოლოდ ბავშვების სიყვარული გარდაქმნის მასწავლებლის შრომას შემოქმედებად.

ხაინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობს 66-ე სკოლის დიდი კოლექტივი. ოცდაორი წლის მანძილზე არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მოსწავლე სკოლიდან წასულიყო.

— გარიცხვა ადვილი საქმეა, — გვეუბნება დირექტორი, — აღზრდა კი ძნელია. სწორედ ეს სიძნელე უნდა დაძლიოთ.

მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და გაუჯობესება სკოლის სამუშაო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი ნაწილია. მიმდინარე სასწავლო წელს ასსრ მოწაფეს უფასო კვება დაენიშნა, სამოცდაცხრამეტს კი უსასყიდლოდ გადაეცა მოსწავლის ფორმები.

ძირითად სასკოლო-სასწავლო პროგრამასთან ერთად არა ნაკლები ყურადღება ექცევა შრომის ჩვევების შესწავლას. ამის შესახებ ნავი დადასტურებაა ის თბილი სტრიქონები, რომელსაც დირექტორის მრავალრიცხოვან ფოსტაში ვკითხულობთ:

ეი ერთი მათგანი.

„...არასდროს დამავიწყდება ერთი შემთხვევა, რომელიც სამუდამოდ კეთილმოსაგონრად დამრჩა. მაშინ მე-9 კლასში ვიყავი. გავაცდინე ჭრა-კერვის მეცადინეობა. თურმე შემთხვევით გაკვეთილზე შემოსულხართ და ჩემი არ ყოფნა შეგიმჩნევიათ. მეორე დღეს რომ გამომძახეთ შეშინებული შემოველ კაბინეტში,

ოსფავლე, კონფერენცია ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე
სკოლა, კულტურა...

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში ამას წინათ გაიმართა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საკითხებს. კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა.

კონფერენცია გახსნა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. გეგეშავამ.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ს. გვასალიამ აღნიშნა, რომ სკოლა გადამწყვეტ როლს ასრულებს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდაში. მან თქვა, რომ საჭიროა თვით აღმზრდელებს ჰქონდეთ მაღალი კულტურული დონე, მრავალფეროვანი ინტერესები. ისინი დაუფლებული უნდა იყვნენ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლებს, კარგად ერკვეოდნენ პარტიის ისტორიისა და ხელოვნების ისტორიის საკითხებში, სამაგალითონი იყვნენ მოსწავლეებისათვის.

მოხსენება — სკოლისა და პედაგოგების ამოცანები მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდაში — გააკეთა განათლების განყოფილების გამგემ ა. ცხადაიამ. მან აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ესთეტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში შექმნილ გარემოს — საკლასო და სამასწავლებლო ოთახების გაფორმებას, აგრეთვე ესთეტიკური ციკლის საგნების მასწავლებელთა მომზადებას. მასწავლებელი შეიძლება კარგი მათემატიკოსი იყოს, მაგრამ, თუ მას ხატვის ან სიმღერის გაკვეთილებსაც გადასცემენ, ამით არაფერი შეემატება ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ფოთის სკოლებში (ქალაქში ახლა 11 საშუალო, 2 მუშა ახალგაზრდობის, 1 რვაწლიანი და 1 სკოლა-ინტერნატია, სადაც 7.685 მოსწავლე და 400 მასწავლებელია) კვალიფიციურ სპეციალისტთა ნაკლებობის გამო ხშირად ხატვის, მუსიკის, სიმღერის გაკვეთილებს სხვა საგნების მასწავლებლებს ავალებენ.

მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ბარაკალაიამ ილაპარაკა იმ კონკრეტულ საშუალებებზე, რომლებსაც იყენებენ ესთეტიკური აღზრდის პრობლემის გადასაწყვეტად. ამ სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა ჩამბულია სიმღერის, მუსიკის, ცეკვის, ხატვის, დრამატულ, მხატვრული კითხვის წრეებში, ტრადიციად იქცა კინოფილმებისა და სპექტაკლების კოლექტიურად ხანა, ამთი გახანგრძლივებული ლიტერატურულ წრეში. ხშირად ეწყობა შეხვედრები ხელოვნების მოღვაწეებთან, ექსკურსიები ისტორიულ ადგილებში და ბუნების წიაღში, ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები და სხვ. სკოლის სცენაზე იდგმება პიესები, ინსცენირებანი. სკოლის გაფორმებაში, ყვავილნარების გაშენებაში ბავშვები მონაწილეობენ. მომავალ არტისტებს, პოეტებს, მხატვრებს აქვთ ნიჭის განვითარების ფართო პერსპექტივა.

პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. ქოიავამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს. ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო ნაწილში მ. გუგუნავამ, პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორმა ნ. რუხაძემ, პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტმა გ. ხოჭოლავამ. მათ აღნიშნეს კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების როლი მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საკითხში.

კონფერენციის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადება, რ

თბილისის სტუმრები

კამბოჯის მინისტრი ეცნობა დედაქალაქს

15 მარტს თბილისში ჩამოვიდა კამბოჯის პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი და სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის მინისტრი პენგ ჩენგ ტიუნგი. ამავე დღეს ქალბატონმა ტიუნგმა დაათვალიერა მეოთხე საქალაქო საავადმყოფო და № 1 სანატორიუმი.

კამბოჯის მინისტრი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ. სტუმრის ყურადღება, კერძოდ, მიიპყრო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის განვითარების საკითხებმა.

ვ. მ. სირაძე პენგ ჩენგ ტიუნგს ესაუბრა, თუ როგორ არის დაყენებული ჯანმრთელობის დაცვა საქართველოში.

კამბოჯის მინისტრმა თქვა, რომ საქართველოს და მოლიანად საბჭოთა კავშირის წარმატებანი მედიცინის დარგში შთამბეჭდავია. თქვენი გამოცდილება, აღნიშნა მან, ჩვენთვისაც ძალიან ძვირფასია.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ლ. ა. საყვარელიძე, რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი მ. ე. თოფურიძე, განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. ვ. ლონტი, რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის წევრი გ. შ. ყორყოლაძე.

ხალამოს კამბოჯის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი და სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის მინისტრი პენგ ჩენგ ტიუნგი სოხუმში გაემგზავრა.

საერთაშორისო სიმპოზიუმის შემდეგ

15 მარტს ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი ქალების საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი. სიმპოზიუმი, რომელიც მოსკოვში გაიმართა, მიეძღვნა თემას „ქალების როლი სოციალისტურ საზოგადოებაში“. ჩამოსულთა შორის არიან ბულგარეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, პაკისტანის, ცეილონის, ირანის წარმომადგენლები.

აეროდრომზე სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ნინო ჯავახიშვილი ამ კომიტეტის წევრი, სიმპოზიუმის მონაწილე ნელი გურგენიძე, დრამატურგი, ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი და სხვები.

ამავე დღეს სტუმრებმა იმოგზაურეს ქალაქში, იყვნენ საკონდიტრო კომბინატში. საწარმოს მუშაკებმა და სპეციალისტებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. კომბინატის დირექტორმა ვიქტორია ებრალიძემ სტუმრებს გააცნო წარმოება, უთხრა, რომ აქ ყოველდღიურად ოთახლოებით 250 სახეობის სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმს უშვებენ.

საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი ესაუბრნენ საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის წევრებს. საუბრის დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა ქალს აწუხებს ვიეტნამის ამბები. შეკრებილთ სოლიდარობა გამოუცხადეს გმირ ვიეტნამელ ხალხს.

სურათზე: ქალთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა ჯგუფი.

ფოტო ი. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ცხოვრება

დამთავრდა ლაიპციგის გაზრობა

ლაიპციგი, 14 მარტი. (საკდესი). დღეს დაიხურა ლაიპციგის წლევანდელი საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 70 ქვეყნის 10.300 ექსპონენტი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მსოფლიოს თითქმის 90 ქვეყნის ნახევარ მილიონზე მეტმა წარმომადგენელმა დათვალიერა მისი პავილიონები. ბაზრობის მონაწილეთა და სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა პავილიონმა. 14 მარტს შუადღისთვის საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებმა მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანასთან დადეს 200 მილიონ მანეთზე მეტი თანხის კონტრაქტები.

ლაიპციგის ბაზრობამ ,,ყველა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ყველა ,,ეთილ ნების ადამიანი ესწრაფვის მშვიდობასა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას ვაჭრობის ასპარეზზე.

სასარგებლო მოლაპარაკება

ანკარა, 14 მარტი. (საკდესი). „საქმიანი წრეების დელეგაციის კონტაქტები საბჭოთა კავშირში სასარგებლო იყო თურქეთისათვის, — განუცხადა გაზეთ „ვათანს“ ჰაიდარ არიალმა — თურქეთის საქმიანი წრეების დელეგაციის წევრმა, რომელიც ამასწინათ იყო საბჭოთა კავშირში. ამგვარ მოგზაურობას, ხაზგასმით აღნიშნა მან, მხოლოდ დადებითი შედეგები მოსდევს. ასეთი მოგზაურობანი ხელს შეუწყობს იმას, რომ კიდევ უფრო გადიდდეს საქონელგაცვლა ორ ქვეყანას შორის. გავიგეთ, თქვა დასასრულ ჰ. არიალმა, რომ რუსეთს სურთ განავითარონ კარგი ურთიერთობა თავის მეზობლებთან.

რ. კენედის მოწოდება

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). სენატორმა რობერტ კენედიმ კვლავ მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შეწყვიტოს ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა, რათა ხელი შეუწყოს მშვიდობიან მოლაპარაკებას ვიეტნამის პრობლემაზე.

კენედიმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ნორმანის (ოკლახომის შტატი) უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე, განაცხადა, მე და პრეზიდენტი ჯონსონი „სხვადასხვა აზრისა ვართ“ მთავრობის საგიეტნამო პოლიტიკაზეო.

ჟენევა, 14 მარტი. (საკდესი). „უნდა შევქმნათ ბარიერი ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ. ატომური ომის საფრთხის ზრდის წინააღმდეგ, რაც ასეთ გავრცელებასთან არის დაკავშირებული“, — განაცხადა დღეს სსრ კავშირის წარმომადგენელმა 16 სახელმწიფოს კომიტეტში ა. ა. რომეინმა.

მან თქვა, რომ დასავლეთ გერმანიის გაელენიანი წრეები სხვადასხვა საბაბით ილაშქრებენ გაუვრცელებლობის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რადგან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტული და რევანშისტული ძალები ისწრაფვიან ხელი იგდონ ატომური იარაღი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება უფიერო საიმედოს გახდის საყოველთაო უშიშროებას, ხელს შეუწყობს ატომური ომის საფრთხის შენელებას და ამრიგად, შეესაბამება როგორც ატომური, ისე უატომო ქვეყნების ინტერესებს.

ა. ა. რომეინი შეეხო აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში უატომო ზონების შექმნის საკითხს და ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უატომო ზონის შექმნა ცენტრალურ ევროპაში.

კანადის წარმომადგენელმა გენერალმა ბერნსმა აღნიშნა, დღეს კომიტეტის მუშაობის დაწყების მეხუთე წლისთავეაო (1962 წლის 14 მარტი). მან იღაპარაკა ამ პერიოდში კომიტეტის საქმიანობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, ახლა კომიტეტის წინაშე დასახულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — გადაწყვიტოს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემა.

და სილვეირამ (ბრაზილია) განაცხადა, რომ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხი „სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს“.

ამასთან დაკავშირებით მან განმარტა ხელშეკრულება ლათინურ ამერიკაში უატომო ზონის შექმნის შესახებ, რომელიც ახლახან დაიღო.

უ. ფოსტერმა (შეერთებული შტატები) მოკლედ გააანალიზა 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობა ხუთი წლის განძილზე და, კერძოდ, აღნიშნა, რომ სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემა. „ახლა, — თქვა მან, — ჩვენ უნდა მივაღწიოთ XX საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას განიარაღების დარგში“.

საყოველთაო უშიშროების ინტერესებისათვის

გასამართლება ახალ ორლეანში

ახალი ორლეანი, 14 მარტი. საკდესის კორესპონდენტები ხ. ლოსევი და გ. ფრიმენი იუწყებიან:

დღეს აქ ხაოლქო სასამართლომ სამი მოსამართლის შემადგენლობით (რაც უჩვეულოა) დაიწყო წინასწარი მოსმენა საქმისა, რომელიც აღძრულია ახალი ორლეანის კომპანია „ინტერნეშნლ ტრეიდ მარტის“ ყოფილი დირექტორის კლეი შოუს წინააღმდეგ.

მოსმენის ამოცანაა გამოარკვიოს, არის თუ არა საკმაო საბუთი აღიძრას მის წინააღმდეგ სასამართლო დევნა იმ ბრალდების გამო, რომ მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში პრეზიდენტ კენედის მოკვლის მიზნით. ახალი ორლეანის საოლქო პროკურორი ჯარისონი ამტკიცებს, რომ შოუ, ოსვალდი და ყოფილი მფრინავი ფერი ამ შეთქმულების თანამონაწილენი იყვნენ. შოუ ერთად ერთია, რომელიც ცოცხალი დარჩა ამ სამეულიდან.

წინასწარმა მოსმენამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ჯარისონი გადაკვრით ამბობდა, რომ წარმოადგენს საბუთს, რომელიც ახალ შუქს მოფენს პრეზიდენტ კენედის მკვლელობის გარემოებებს.

გუშინ დალასიდან ახალ ორლეანში ჩამოსული ტაქსის მძღოლი რეიმონდ კამინგსი პოლიციის დაცვით მიიყვანეს პროკურორ ჯარისონის ბიუროში.

კამინგსი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტ კენედის მოკვლის წინა დღით მას მანქანით მიჰყავდა ოსვალდი, ფერი და ვიღაც მესამე კაცი ჯეკ რუბის ღამის კლუბში. კამინგსმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ დალასიდან ახალ ორლეანში წამოსვლის წინ მას ტელეფონით დაურეკეს ანონიმურმა პირებმა და დამუქრნენ რომ გაუსწორდებიან.

დღევანდელი მოსმენა მიმდინარეობს უშიშროების მკაცრ ღონისძიებათა ატმოსფეროში. სასამართლოს შენობაში დაყენებულია ბევრი ფორმიანი და სამოქალაქო ტანისამოსიანი პოლიციელი. პოლიციას მინიჭებული აქვს უფლება გაჩხრიკოს სასამართლოში შემსვლელნი.

გაააუქმეს კომენდანტის საათი

ჯაკარტა, 15 მარტი. (საკდესი). სამხედრო ხელისუფლებამ დღეს გამოაცხადეს, რომ ჯაკარტაში გაუქმდა კომენდანტის საათი, რომელიც ინდონეზიის დედაქალაქში 1965 წლის 30 სექტემბრის ამბების შემდეგ შემოიღეს.

ქარლ მარქსის ხსოვნას

ორი ღირსშესანიშნავი თარიღი

ლონდონი, 15 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩუკანოვი გვატყობინებს: კარლ მარქსის გარდაცვალების 84-ე წლისთავი დაემთხვა კიდევ ორ ღირსშესანიშნავ თარიღს — „კაპიტალის“ გამოსვლის ამ წლისთავსა და მეოცე საუკუნის უაღრესად დიდმნიშვნელოვან მოვლენას — რუსეთის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავს, განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ტ. დრაიბერგმა, რომელიც გუშინ გამოვიდა ლონდონის ჰაიგეიტის სასაფლაოზე. აქ გუშინ ბევრი ხალხი შეიკრიბა, რათა პატივი ეცა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის ხსოვნისათვის.

ტ. დრაიბერგმა შეკრებილთ მოაგონა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სიტყვები: „აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა“, და განაცხადა: „ეს სიტყვები რომ ჩვენს დროში დაწერილიყო, „ევროპა“ უნდა შეგვეცვალა „აზიით“, „აფრიკით“, „ლათინური ამერიკით“ — სინამდვილეში სიტყვით „მსოფლიო“. მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში, ხაზი გაუსვა ორატორმა, აღიარებენ კარლ მარქსის იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას.

ძეგლი დარჩეგა

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). მოგებულია ბრძოლა, რომ დარჩენილიყო „მარქსის მემორიალური ბიბლიოთეკა“ კლერკენუელ გრინზე, სადაც ამ საუკუნის დამდეგს ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა გაზეთ „ისკრას“.

საბინაო მშენებლობის სამინისტრომ დღეს დადასტურა დიდი ლონდონის საბჭოს განკარგულება სახელმწიფო დაცვა დაეწესოს შენობაზე, რომელსაც განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

„მარქსის მემორიალური ბიბლიოთეკა“ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია, რომელიც მარტო ვ. ი. ლენინის სახელთან და გაზეთ — „ისკრასთან“ კი არ არის დაკავშირებული, არამედ უკავშირდება ინგლისის მუშათა მოძრაობის განვითარებასაც: გლეხთა აჯანყებებს, რადიკალთა ბრძოლას საპარლამენტო რეფორმებისათვის, ჩარტისტულ მოძრაობას, ინგლისელ სოციალ-დემოკრატთა პირველ გამოცემებს.

თუმცა დიდი ლონდონის საბჭომ თავის დროზე საჭიროდ ცნო სახელმწიფო დაცვა დაეწესებინა სახლზე. ლონდონის ისლინგტონის გარეუბნის ხელისუფალნი აპირებდნენ აეღოთ იგი მთელი უბნის გარდაქმნის დროს. ახლა გეგმა შეიცვლება. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ბიბლიოთეკის დირექტორს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ენდრიუ როტშტეინს და საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებას.

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ნაგასაკი მოგვაგონებენ

ტოკიო, 14 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზასეკინი იუწყება: „ალარ შეგვიძლია ლოდინი“ „უზრუნველყავით ატომური დაბომბვის ყველა მსხვერპლი სრული მკურნალობითა და სოციალური დაბმარებით!“ — ამ ლოზუნგებით გაიმართა დღეს ტოკიოში მიტინგი, რომელზეც იაპონიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდა ატომური დაბომბვისაგან დაზარალებულთა 400-ზე მეტი წარმომადგენელი.

ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვისაგან დაზარალებულთა ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა მორიტაკიმ განაცხადა რომ, ამჟამად იაპონიაში 300 ათასამდე კაცია, რომლებიც ატომური შემოსხვევების გამო ვერ მუშაობენ.

გასამდიდრებლად — დანაშაული

ბონი, 15 მარტი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში აიხნის პროკურატურამ „კონტერგანის“ საქმის გამო ბრალდება წაუყენა შტოლბერგის „ხემი გრიუნენტალის“ ფირმის ცხრა თანამშრომელს.

„კონტერგანი“ სამედიცინო პრეპარატია, რომელსაც „ხემი გრიუნენტალის“ ფირმა ამზადებდა. სკანდალური „საქმე კონტერგანის გამო“ დაიწყო 1961 წლის დეკემბერში, როცა ექიმთა ყრილობამ დიუსელდორფში განაცხადა, იმის შედეგად, რომ ფეხმძიმე ქალები სვამენ ამ პრეპარატს, მათ მახინჯი ბავშვები ებადებათო.

ამ საქმის გამძიებამ, რომელიც ხუთ წელზე მეტი ხანია გრძელდება, ცხადყო, რომ დასავლეთ გერმანიის ფირმამ გამდიდრების მიზნით გასაყიდად გამოუშვა პრეპარატი, რომელსაც შეუძლია „დიდი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ხალხის ჯანმრთელობას“.

დასავლეთ გერმანიის პროკურატურის მონაცემებით, დასავლეთ გერმანიაში და სხვა ქვეყნებში „სულ ცოტა“ ხუთი ათასი მახინჯი ბავშვი დაიბადა იმის შედეგად, რომ მათი დედები „კონტერგანს“ სვამდნენ.

გამოძიება დიდხანს გრძელდებოდა, ამ დროს კი ფირმა კვლავ მდიდრდებოდა მავნე პრეპარატის გაყიდვით. ახლა ფირმას ისევ მისცეს დრო. როგორც აიხენში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადეს, სასამართლო პროცესი ამ საქმის გამო მხოლოდ... ერთი წლის შემდეგ დაიწყება.

ბრაზილიის ახალი პრეზიდენტი

რიო-დე-ჟანეირო, 15 მარტი. (საკდესი). გადამდგარი მარშალი არტურ და კოსტა ე სილვა დღეს დაიკავებს ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტს.

ბრაზილიის ახალი პრეზიდენტი 64 წლისაა, იგი იყო სამხედრო მინისტრი კასტელო ბრანკოს ყოფილ მთავრობაში, რომელიც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1964 წლის აპრილში.

ბრაზილიას ექნება ავრეთვე ახალი კონსტიტუცია, რომელიც მნიშვნელოვნად გაფართოებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ახალი კანონი პრესის შესახებ და ეროვნული უშიშროების ახალ კანონი, რომელიც ითვალისწინებს დაპატიმრებას ეკრეთ წოდებული პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათის დარღვევებისათვის.

დღეიდან ბრაზილია იღებს ახალ სახელწოდებასაც: ბრაზილიის შეერთებული შტატების ნაცვლად მას ოფიციალურად ეწოდება ბრაზილია.

შავი ჭირის ეპიდემია გრძელდება

ნიუ-იორკი, 15 მარტი. (საკდესი). შავი ჭირის ეპიდემია, რომელიც გასულ კვირაში დაიწყო კამრანის ყურეში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზის მახლობლად, გავრცელდა სამხრეთ ვიეტნამის აღმოსავლეთ სანაპიროს კიდევ ორ დასახლებულ პუნქტში. ამას გვაცყობინებს ასოშიეიტედ პრესის საგაგეტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ამერიკელ ხელისუფალთა განცხადებას. კორესპონდენტი გვაცყობინებს, რომ ჯუნგტაუნში, 65 კილომეტრზე საიგონის სამხრეთ-აღმოსავლეთით რეგისტრირებულია შავი ჭირით დაავადების თერთმეტი ახალი შემთხვევა, ორი ავადმყოფი გარდაიცვალა.

ერთი დანაშაულის ამბავი

ვიდრე საქმის არსზე მოგითხრობდეთ, შეეჩერდები ერთ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან წვრილმანზე.

სვეხებით შესაძლებელია, რომ ბევრმა ამერიკელმა ისეთი საშინელი იარაღის არსებობა, როგორიც ნაპალმია, პირველად შეიტყო მხოლოდ 1966 წლის აგვისტოში, როცა ამერიკელმა მფრინავებმა ნაპალმის ბომბები შეცდომით დააყარეს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ქვეითი დივიზიის პოზიციებს. როგორც მაშინ ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტები იუწყებოდნენ, შვიდი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლულ იქნა და ოცმა დამწვრობა მიიღო. დაჭრილები მაშინვე სპეციალური ინფიენი-ბუხები, ბუზები, ჭუჭყი, ავადმყოფობა თვითეული დაჭრილი, რომელიც დანაწილა ჰოსპიტალში მიპყავთ. უკვე დაავადებულია რაიმე ინფექციით. ექიმები ხშირად შეუყვანენ ხოლმე ოპერაციას, რომ ბუზები მოგიგონონ... მაგრამ ყველაზე საშინელი სანანავია ბავშვების გამხდარი, ნაპალმით დასაჭრილები სახეები და სხეულები. ნაპალმი და მისი კიდევ უფრო საშინელი მოკავშირე— ფოსფორი — სპობენ ახალგაზრდა სხეულს, გადაადნობენ მას მახინჯ საშინელ ფორმად. ნაპალმით დაზიანების შემდეგ ძალიან ცოტა ვინმე თუ ინარჩუნებს ადამიანის სახეს“.

აი ციტატა დოქტორ გოლდვინის სტატიიდან:

„დამწვრობის მწვავე სტადია მოითხოვს დაუყოვნებლივ და კომპლექსურ ყურადღებას ექიმების, მედიცინის ლიბს, სპეციალურ ტანსაცმელს, სპეციალურ საჭმელს, პლაზმას, ფონოროთა სისხლს, ანტიბიოტიკებს, ჭრილობათა დამუშავებას და კანის გადანერგვას.

მაგრამ სამხრეთ ვიეტნამში ექიმები და მედიცინის ეგზისი აკლიათ. ბავშვებს, რომლებსაც თავით დაწყებული ტერფამდე აქვთ ნაპალმით გამოწვეული დამწვრობა. მეურნალობენ ფაზლინით, რადგან აკლიათ დამწვრობის საწინააღმდეგო საშუალებანი, სხვადასხვა და მარმაში. ჰოსპიტლები ადამიანთა სასაკლაოს წააგავს“.

მაგრამ ის, რაც ზემოთ ვთქვი, ცოტად თუ ბევრად ცნობილია. მე მხოლოდ მინდოდა ერთხელ კიდევ გამეხსენებინა ეს იმ დანაშაულობის ისტორიასთან დაკავშირებით, რომელზეც ვაბარებ გიამბოთ.

აი ეს ამბავი, რომელიც ცნობილი გახდა ჟურნალ „რემპარტსის“ მეოხებით.

შვეიცარიის ფილანთროპიულმა ორგანიზაციამ „ტერ დეზ ომმა“, რომელმაც სამხრეთ ვიეტნამის ჰოსპიტლებში საქმის ვითარება გამოიკვლია, 1965 წლის შემოდგომაზე სამხრეთვიეტნამელი ბავშვებისათვის ევროპის ზოგიერთ ჰოსპიტალში მოაწყო 400-მდე ადგილი სხვადასხვა ფილანთროპიული ორგანიზაციების ხარჯზე. ეს არც ისე დიდი წვლილია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მარტო დანანგის ჰოსპიტალში ყოველთვიურად გაიკლის ხოლმე ნაპალმით დაზიანებული 400-მდე ბავშვი. მაგრამ 400 საწოლი მაინც რეალური დახმარებაა.

ამრიგად, ფილანთროპიულ და, როგორც ჩანს, არც ისე მდიდარ ორგანიზაციას „ტერ დეზ ომს“ იმედი ჰქონდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გამოაკეთებდა თვითმფრინავებს ან თუნდაც ანაზღაურებდა ევროპაში იმ ბავშვების გადმოყვანას, რომლებსაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ, ვინაიდან, ვიმეორებ, მხოლოდ შეერთებული შტატები იყენებენ ნაპალმს ამ ომში.

ვუახლოვდები ამ ამბის აპოთეოზს, პასუხს, რომელიც „ტერ დეზ ომის“ თხოვნაზე გასცა თეთრი სახლის თანამშრომელმა ვინმე მისტერ ჩესტერ ლ. კუპერმა:

„...დახმარების ყველაზე ეფექტური გზაა, — დაბეჭდილი იყო თეთრი სახლის შტაბპიან ქაღალდზე, — მისი გაწევა ადგილზე, სამხრეთ ვიეტნამში, სადაც ბავშვების და სხვების მკურნალობა შესაძლებელია თავიანთი ოჯახების გვერდით და ნაცნობ ვითარებაში. ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები ნამდვილად გამოუსადეგარია ამ მიზნისათვის“.

პასუხი განსაცვიფრებელი იყო. „ტერ დეზ ომში“ გადაწყვიტეს, რომ რაღაც შეცდომა მოხდა, რომ პასუხი დაწერა კაცმა, რომელსაც სრულებით არ ესმის, თუ რა ხდება სამხრეთ ვიეტნამში. ამიტომ მათ სასწრაფოდ მისწერეს ახალი წერილი და სამართლიანად უმტკიცებდნენ, რომ სამხრეთ ვიეტნამში არაეითარი „ნაცნობი ვითარება“ არ არსებობს, რომ სამხრეთ ვიეტნამზე ყოველდღე მოაქვთ იერიშები ნაპალმით, რომ ათასობით ბავშვმა დაკარგა მშობლები და, გარდა ამისა, უკლებლივ ყველა შემთხვევაში სამედიცინო დახმარება ადგილზე სრულებით არ არის, იმიტომ რომ არ არის ექიმები. არ არის ჰოსპიტლები, არ არის მინიმალურად აუცილებელი რამ ნაპალმით დაზიანებულ ბავშვთა ჯანმრთელობის აღსადგენად.

შემდეგი პასუხი, ჟურნალ „რემპარტსის“ ცნობით, მისტერ კუპერმა სიტყვიერად გასცა. ყურადღებით ჩაუკვირდეთ მის სიტყვებს, დაიხსომეთ ადამიანის განსაცვიფრებელი ფარისევლობისა და სიასაძაგლის ეს დოკუმენტი.

„შვეიცარიელ დოქტორს ალბათ კეთილი განზრახვები აქვს. მაგრამ იგი რამდენადმე უცნაურად მსჯელობს, — განაცხადა კუპერმა, — მან თვითმფრინავები გვთხოვა, რომ შვეიცარიაში სამკურნალოდ ჩაიყვანონ უდანაშაულო ვიეტნამელი ბავშვები. ეს პრობლემა უფრო ღრმად რომ განვიხილეთ, — მე კი დაჭრილი ბავშვების ბედი მაწუხებს არა ნაკლებად, და შესაძლოა, უფრო მეტადაც, ვიდრე იმ ყმაწვილკაცს (იგულისხმება „ტერ დეზ ომის“ დამაარსებელი ედმონდ კაიზერი), — ჩვენ მივხვდით, თუ რის გაკეთება უნდოდათ. მათ უნდოდათ წაეყვანათ ეს დამფრთხალი პატარა ბავშვები, მათთან ერთად მსოფლიოს ირგვლივ ნახევარი გზა გავფენოთ და მოეთავსებინათ ისინი უცნობ სასოგადოებაში...

მაგრამ რა კარგიც უნდა იყოს შვეიცარიული ჰოსპიტალი ან სასლი, იგი ვერ ანაზღაურებს იმას, რომ ბავშვები ოჯახში და ჩვეულ ვითარებაში არ იქნებიან. გამოცდილი სოციოლოგები და მედიცინის მუშაკები აგვიწერდნენ, თუ რა ემართება ბავშვს, როცა მას მოულოდნელად წაიყვანთ ოჯახიდან. სულიერი შოკი და ტრავმა...“

ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ ეს პასუხი. გადაიკითხეთ სიტყვები „სულიერი შოკის“, „ტრავმის“, „ოჯახიდან მოულოდნელად მოწყვეტის“ შესახებ. ერთხელ კიდევ წაიკითხეთ ეს და ჩაუფიქრდით იმას, თუ რა შორს შეიძლება წავიდეს ადამიანის სისაძაგლე, რომელსაც სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს.

საც ჰოსპიტალიზაცია სჭირდებათ. მაგრამ ავიაკომპანიებმა უარი უთხრეს. ალბათ შეეშინდათ, რომ დამწვარობამიღებული ვიეტნამელი ბავშვების დანახვა „არასასიამოვნო“ იქნებოდა სხვა მგზავრებისათვის.

ბოლოს, „ტერ დეზ ომმა“ შეაგროვა სახსრები რამდენიმე ვიეტნამელი ბავშვის ინგლისში ჩასაყვანად, რათა უმკურნალონ მათ მაკინდოს ჰოსპიტალში.

აი როგორ აგვიწერს ჟურნალი „რემპარტსი“ რვა წლის ბავშვის ჩაყვანას ლონდონში.

„ლუანის მშობლები ცოცხლივ დაწვეს სამხრეთ ვიეტნამის სოფელზე ნაპალმით იერიშის დროს. ბავშვს ნიკაპი დასდნობია, და პირის მოკუმვა არ შეუძლია. ქუთუთოები არა აქვს. ფეთქბენარავების თავდასხმიდან გასულ ოთხ თვეში მას არავითარი — ამბოლუტურად არავითარი სამედიცინო დახმარება არ მიუღია. ლუანი თვითმფრინავიდან რომ გამოვიდა, თავი დაფარული ჰქონდა მატერიის შალითით. (უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მისტერ კუპერის გაფრთხილებისა, ლუანი ახლა გაცილებით უკეთ გრძნობს თავს)“.

შემდეგ შეაგროვეს სახსრები იმისათვის, რომ 26 ბავშვი შვეიცარიაში გაეგზავნათ. როგორ გაოცდნენ ჟენევაში ავროდრომზე თავმოყრილი ადამიანები, როცა აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავში არ იყო ნაპალმით დაზიანებული არც ერთი ბავშვი. იქ იყვნენ მხოლოდ ისეთი ბავშვები, რომლებიც შეპყრობილი არიან ქრონიკული დაავადებებით: პოლიომიელიტით, გულის დაავადებებით და ა. შ. აღმოჩნდა, რომ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის მოხელეებს შეუცვლიათ „ტერ დეზ ომის“ მიერ შერჩეული ბავშვები, რათა ნაპალმით დაბომბვის მსხვერპლთა გამოჩენას არ გამოეწვია ევროპაში ახალი აზვირთება აღშფოთებისა ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა დანაშაულებრივი მოქმედების გამო.

„ტერ დეზ ომის“ წარმომადგენელმა ნიუ-იორკში ბატონმა სირლ სპენგლერმა განაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის მოხელეები სადღაც მალავენ 26 ბავშვს, რომლებიც ამ ორგანიზაციამ იმისათვის შეარჩია, რომ სამკურნალოდ გაეგზავნა. შესაძლოა, ბევრი მათგანი უკვე მოკვდა ისე, რომ სამედიცინო დახმარება არ მიუღია...

ასეთია ამბავი ამ დანაშაულისა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარია იმ დანაშაულობათაგან, რაც კი მსოფლიოში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მომხდარა.

გენრიხ ბოროვიკი,
აახ-ის ხაკ. კორ.

ნიუ-იორკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგასაკი მოგვაგონებენ

ტოკიო, 14 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზასეკინი იუწყება: „ალარ შეგვიძლია ლოდინი“ „უზრუნველყავით ატომური დაბომბვის ყველა მსხვერპლი სრული მკურნალობითა და სოციალური დაბმარებით!“ — ამ ლოზუნგებით გაიმართა დღეს ტოკიოში მიტინგი, რომელზეც იაპონიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდა ატომური დაბომბვისაგან დაზარალებულთა 400-ზე მეტი წარმომადგენელი.

ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვისაგან დაზარალებულთა ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა მორიტაკიმ განაცხადა რომ, ამჟამად იაპონიაში 300 ათასამდე კაცია, რომლებიც ატომური შემოსხვევების გამო ვერ მუშაობენ.

ქურდი სენატორი

ვაშინგტონი, 15 მარტი. (საკდესი). ერთ-ერთი გაელენიანი ამერიკელი სენატორი, ამერიკის პროგრესული ძალების წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ ფიქრი ტომას დოდი (დემოკრატი კონექტიკუტის შტატისაგან) მხლებელია ეპატრონსნობასა და მსხვილ ფინანსურ მაქინაციებში.

მარშან. მას შემდეგ, რაც ცნობილმა ამერიკელმა მიმომხილველმა დრიუ პირსონმა გამოაქვეყნა მამხილებელი სტატია, ეთიკის სპეციალურმა კომისიამ დაიწყო ფაქტების გამოძიება, რომლებიც შეეხება იმას, რომ სენატორმა დოდმა მიითვისა პოლიტიკური კამპანიის მოსაყობად ამომრჩევლს შორის შეგროვილი ფული და რომ მას კავშირი ჰქონდა დასავლეთგერმანელ ლობისტ ჯულიუს კლინთან. ბოლო დროსდე დოდი დაკავებით უარყოფდა მისთვის წაყენებულ ბრალდებას და ფიცულობდა, კრისტალურად პატიოსანი და უანგარო ვარო.

მაგრამ გუშინწინ უცილობელ სიმხილთა გამო სენატორი დოდი იძულებული იყო ედიარებინა, რომ პირადი სარგებლობისათვის მითვისა მეტი ნაწილი 400.000 დოლარისა, რომელიც მან პოლიტიკური კამპანიის მოსაყობად შეაგროვა 1961-1965 წლების პერიოდში.

დოდი ატყუებდა არა მარტო თავის ამომრჩეველებს, არამედ სენატსაც. მან აღიარა, რომ სენატის სალარდან მიღო სახსრები შეიდი „საქმიანი“ მოგზაურობისათვის, მაშინ როცა ფული ამ მოგზაურობისთვის სენატორს წინათ გამოეყო რამდენიმე კერძო ორგანიზაციამ. 10.000 დოლარი სენატორმა დასცინა „ინტერნეშნლ ლეიტერს ბიზნეს კორპორეიშინის“ გამგეობის თავმჯდომარეს ა. სპენელს იმ დაპირების ნაცვლად, რომ მას ამერიკის ელჩის პოსტზე დაანიშნიენება რომელიც ქვეყანაში.

სენატის საშინაო უშიშროების საკითხთა ქვეკომისიის ეიკე-თავმჯდომარე ფიდი ალბერ ამერიკის სტუდენტთა და ახალგაზრდათა ორგანიზაციების ეგრეთწოდებული „ძირგამომთხრელეა“ საქმიანობის არაერთი გამოძიებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა

პირველად სხვა გაზეთის ფურცლებიდან

საბჭოთა დირიჟორი

ქართველი მუსიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი ჯემალ გოკიელი ესტუმრა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქ არადს და ადგილობრივი ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ორი კონცერტი გამართა.

კულტურის სასახლის დარბაზში ქალაქის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ მოიყარა თავი და ჯერეროვნად შეაფასა საბჭოთა დირიჟორის ოსტატობა.

პროგრამაში იყო დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

რუმინულმა გაზეთმა „აჩარა როს